Übersetzung aus der deutschen in die georgische Sprache
თარგმანი გერმანულიდან ქართულ ენაზე

იუსტიციის ფედერალური სამინისტრო ავსტრიის ადვოკატები

იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს სურს მოგაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

ადვოკატთა სამორიგეო სამსახური
(„გადაუდებელი ზარი ადვოკატთან“)

სისხლის სამართლის საქმეში ნებისმიერ ბრალდებულს აქვს უფლება, აირჩიოს ადვოკატი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლი).

თქვენი დაპატიმრება ან დაუყოვნებელი დაკითხვა მოხდა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ჩადენილი დანაშაულის ეჭვის, ევროპის მასშტაბით გაცემული დაკავების ორდერის ან ექსტრადიციის შუამდგომლობის საფუძველზე. დაკითხვის დაწყებამდე თქვენ უნდა მოგეცეთ ადვოკატთან დაკავშირების, მისი თქვენს დაკითხვაზე დასწრების და მასზე მინდობილობის გაცემის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ კატეგორიულად უარს აცხადებთ ამ შესაძლებლობაზე. ავსტრიის ადვოკატთა პალატა ამ მიზნით ახორციელებს იურიდიულ მომსახურებას იუსტიციის ფედერალურ სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე („გადაუდებელი ზარი ადვოკატთან“). იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გყავთ თქვენს მიერ არჩეული ადვოკატი, ადვოკატთა სამორიგეო სამსახურის საშუალებით თქვენ შეგეძლებათ „მორიგე ადვოკატთან“ დაკავშირება. ეს სერვისი თქვენთვის შემდეგი პირობებით არის ხელმისაწვდომი:

სამორიგეო სამსახური მოიცავს სატელეფონო, ბრალდებულის მოთხოვნის საფუძველზე ასევე პერსონალურ კონსულტაციას ადვოკატთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ადვოკატით მომსახურებას დაკითხვის დროს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 164 ან 174-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით). გარდა ამისა, იგი მოიცავს დაცვისთვის საჭირო სხვა ქმედებების განხორციელებას (როგორიცაა, მაგალითად სასამართლოსადმი შუამდგომლობით მიმართვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნის თხოვნით და ა.შ.). ავსტრიის ადვოკატთა პალატაში ამ მიზნით ფუნქციონირებს სამორიგეო სამსახურის ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ჩართულია და რომლის მეშვეობითაც თქვენ დაუყოვნებლივ შეძლებთ ადვოკატთან დაკავშირებას.

ცხელი ხაზის სამსახურთან კომუნიკაციის ფარგლებში გაცემული მინდობილობა უქმდება თქვენი პატიმრობიდან განთავისუფლების, წინასწარი, სადეპორტაციო ან ექსტრადიციის წინა პატიმრობის შეფარდებისთანავე. თქვენი გადასაწყვეტია, გაუგრძელებთ თუ არა მინდობილობას ადვოკატს დროის ამ მონაკვეთის გასვლის შემდეგაც.

ადვოკატთან პირველი სატელეფონო კონსულტაცია უფასოა!

ამ სატელეფონო საუბრის დროს თქვენ სამორიგეო სამსახურის ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებით მოგეწოდებათ ასევე ინფორმაცია სერვისის სახის, მოცულობის და ფასის შესახებ.

პოლიციაში დაკითხვისას თქვენ უფასოდ შეძლებთ სამორიგეო სამსახურის ადვოკატის მომსახურებით სარგებლობას, თუ

თქვენ ხართ უსინათლო, სმენადაქვეითებული ან გაქვთ მსგავსი სახის სხვა შეზღუდვა,

Übersetzung aus der deutschen in die georgische Sprache
თარგმანი გერმანულიდან ქართულ ენაზე

ხართ ფსიქიკურად დაავადებული ან გაქვთ მსგავსი სახის შეზღუდვა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი) ან ხართ არასრულწლოვანი (14-17 წლის)[1] **და ამასთან ერთად**

არ გაქვთ ადვოკატის აყვანის ფინანსური შესაძლებლობა.

მსგავს შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ დააყენოთ სამორიგეო საადვოკატო სამსახურიდან თქვენთვის ადვოკატის დანიშვნის შუამდგომლობა. [2]თუ თქვენ არასრულწლოვანი ხართ, მაშინ მორიგე ადვოკატზე უარის თქმის უფლება არ გაქვთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ საკუთარი სახსრებით ადვოკატის აყვანის საშუალება არ გაქვთ, ყალბი აღმოჩნდება, მაშინ დაგეკისრებათ ადვოკატის მომსახურებით წარმოშობილი ხარჯების დაფარვა!

ცხელი ხაზი: 0800 376 386

1 არასრულწლოვნად ითვლება ახალგაზრდა, რომელსაც უკვე შეუსრულდა 14 წელი, თუმცა ჯერ არ შესრულებია 18 წელი. 14 წლის შესრულებიდან დღის 0:00 საათიდან მე-18 დაბადების დღის 24:00 საათამდე ახალგაზრდა არასრულწლოვნად ითვლება.

2 მორიგე ადვოკატის მომსახურება დაკითხვის დროს, რომელიც შეეხება წინასწარი პატიმრობის, სადეპორტაციო პატიმრობის ან ექსტრადიციის წინა პატიმრობის წინაპირობებს, უფასოა იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის ხარჯების საკუთარი ჯიბიდან დაფარვის ფინანსური საშუალება თქვენ არ გაქვთ. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ხართ, ეს რეგულაცია იმ შემთხვევაზეც ვრცელდება, როდესაც ადვოკატის ხარჯების დაფარვა თქვენი მხრიდან თქვენი საარსებო სახსრების სერიოზულ შეზღუდვას გამოიწვევდა ან თუ სახეზეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61- ე მუხლის 2 პუნქტის პირველი ნაწილის წინაპირობები.